**FOR IMMEDIATE RELEASE** 20 აპრილი, 2025

**EBRD-ის, ADB-ის, ICC Georgia-სა და საქართველოს ბანკის ინიციატივით, 16-17 აპრილს, თბილისში რეგიონული კონფერენცია - Digital Trade for Growth in the Middle Corridor: Foundations, Finance and Adoption გაიმართა**

კონფერენციის ფარგლებში სპიკერებმა განიხილეს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები, ასევე დიჯიტალიზაციის გავლენა სავაჭრო პროცესებზე, თანამედროვე ციფრული სავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტები და ციფრული აქტივების პოტენციალი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი , ისე რეგიონის ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები, კერძო სექტორის ლიდერები და სფეროს ექსპერტები, მათ შორის: EBRD-ის რეგიონული ხელმძღვანელი ალკის ვრიენიოს დრაკინოსი; ლესლი ბეარმან ლამი, ADB-ის წარმომადგენლობის დირექტორი საქართველოში; ICC საქართველოს თავმჯდომარე ფადი ასლი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ციფრული სტანდარტების ინიციატივის დირექტორი პამელა მარი და სხვა.

*„ICC Georgia-ში ჩვენ გვჯერა, რომ ციფრული ვაჭრობა სტრატეგიული პრიორიტეტია ჩვენი ქვეყნის როლის გასაძლიერებლად რეგიონულ და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში. საერთაშორისოდ თანმიმდევრული სამართლებრივი ჩარჩოების, თავსებადი ციფრული სტანდარტების და პოლიტიკის შემქმნელების, ბანკებსა და ბიზნესებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობით, ჩვენ ვქმნით საფუძველს უფრო ეფექტური, გამჭვირვალე და ინკლუზიური სავაჭრო ეკოსისტემისთვის. ეს კონფერენცია ხაზს უსვამს ჩვენს მტკიცე ვალდებულებას, მხარი დავუჭიროთ ვაჭრობის ციფრულ ტრანსფორმაციას და ხელი შევუწყოთ გლობალური სავაჭრო დაფინანსების ხარვეზის აღმოფხვრას“,* - განაცხადა ფადი ასლიმ, ICC Georgia-ს თავმჯდომარემ.

*„ვაჭრობისა და ღირებულების ჯაჭვების მხარდაჭერა გლობალური ეკონომიკის სიცოცხლის წყაროა და წარმოადგენს EBRD-ის მანდატის ცენტრალურ ნაწილს. ვაჭრობის დიგიტალიზაცია აძლიერებს*

*ვაჭრობის დაფინანსების ყველა უპირატესობა — ზრდის ეფექტიანობას, ამაღლებს გამჭვირვალობას, ამცირებს რისკებს და ხელს უწყობს მდგრადობას გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში. მარტივად რომ ვთქვათ, დიგიტალიზაცია ვაჭრობას ეხმარება უფრო სწრაფად, უფრო უსაფრთხოდ და უფრო სამართლიანად განხორციელდეს, ხსნის შესაძლებლობებს ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs), და აძლიერებს ეკონომიკურ მდგრადობას. მოხარულნი ვართ, რომ პარტნიორობას ვამყარებთ ICC DSI-სთან, ADB-სთან, ICC Georgia-სთან და Bank of Georgia-სთან — ამ ტრანსფორმაციის წინსვლისთვის, რადგან ციფრული ვაჭრობის სარგებელი უბრალოდ ზედმეტად მნიშვნელოვანია, რომ უგულებელვყოთ“,* — განაცხადა ალკის ვრიენიოს დრაკინოსმა, EBRD-ის კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა.

*“საქართველოს ციფრული ვაჭრობის დღის წესრიგის განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, და ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებთ თანამშრომლობას EBRD-თან, საქართველოს ბანკთან და საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან. ამ გაერთიანებით მიზნად ვისახავთ ციფრული ვაჭრობის გადაყვანას განხილვიდან პრაქტიკულ განხორციელებაზე და სისტემური ტრანსფორმაციის დაჩქარებას. ციფრული სავაჭრო ფინანსირება ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, რადგან აძლევს ბიზნესებს — განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებს — შესაძლებლობას თავდაჯერებულად გაფართოვდნენ, გააძლიერონ მიწოდების ჯაჭვები და კონკურენტული გახდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ,”* განაცხადა ლესლი ბეარმან ლამმა, ADB-ის წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში.

*„სავაჭრო ფინანსირებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა ადგილობრივი ბიზნესებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს, გაეცნონ საუკეთესო პრაქტიკებსა და თანამედროვე ტენდენციებს. საქართველოს ბანკი  კი როგორც ბიზნესის პარტნიორი, აქტიურად მუშაობს სავაჭრო ფინანსირების პროცესების გაციფრულებაზე და ამ მიმართულებით არაერთ ინიციატივას ახორციელებს“,* - განაცხადა საქართველოს ბანკის კორპორაციული ბიზნესის ვაჭრობის დაფინანსების გაყიდვების სამსახურის უფროსმა, გალინა ოგანესიანმა.